საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ტ. ჩ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.09.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 129/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატის მ. ქ.-ის /სიითი №...././ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ქ.-ისათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით (შემდგომში „დებულება“) გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ტ. ჩ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ქ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან საადვოკატო მომსახურების მისაღებად ადვოკატ მ. ქ.ს მიმართა 2015 წლის 16 თებერვალს და მისცა მინდობილობა.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი მ. ქ. 2015 წლიდან 2017 წლამდე მისგან იღებდა სხვადასხვა თანხებს. მან 2015 წლის 13 თებერვალს დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა და

გადაიხადა საადვოკატო მომსახურების ღირებულება 300 ლარი, იმავე დღეს დამატებით ხელზე გადასცა 200 ლარი, ადვოკატის მოთხოვნით 2015 წლის 18 თებერვალს გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით, ადვოკატის მოთხოვნით სესხის სახით გადასცა 200 ლარი. მომჩივანი განმარტავს, რომ საქმის დაჩქარების მიზნით, სხვადასხვა შეხვედრებზე, ადვოკატისათვის ხელზე გადაცემული აქვს 50-50 ლარი, ჯამში 200 ლარი.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატთან ჰქონდა კომუნიკაციის პრობლემა, ადვოკატი მ. ქ. არ ეხმიანებოდა მას და სატელეფონო საუბრისას სისტემატიურად პასუხობდა, რომ იმყოფებოდა ქალაქ ბათუმში. ტ. ჩ.-ის განცხადებით, ადვოკატმა მისი საქმის წარმოება ვერ შეძლო, რადგან რაღაც პერიოდის განმავლობაში იყო მსჯავრდებული. ამ დროს მისი საქმე გადაებარა სხვა ადვოკატს, რომელსაც ასევე არაფერი გაუკეთებია და გათავისუფლების შემდეგ, საქმე კვლავ უნდა ეწარმოებინა ადვოკატ მ. ქ.ს, რაც არ გააკეთა.

1.5 საჩივრის ავტორი ითხოვს, ადვოკატი მ. ქ.-ისათვის 2015-2017 წლებში გადახდილი საადვოკატო მომსახურების თანხის 1200 ლარის ნაწილის, 800 ლარის დაბრუნებას.

1.6 2018 წლის 07 ნოემბერს გამართულ საპროცესო სხდომაზე საჩივრის ავტორის ტ. ჩ.-ის ნაცვლად წარსდგა მისი მეუღლე გ. ჩ., რომელმაც განმარტა, რომ ეთიკის კომისიაში შემოტანილი საჩივრის ტექსტი თავად შეადგინა, ხოლო საჩივრის ავტორი ტ. ჩ. თავად არ იცნობს საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის შინაარსს და მის ნაცვლად საჩივარს ხელს აწერს მისი მეუღლე - გ. ჩ.. გ. ჩ.-მ განმარტა, რომ რადგან მას აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, საჩივარს მეუღლის სახელით, თავად აწერს ხელს და არ თვლის საჭიროდ აღნიშნულის თაობაზე ტ. ჩ.-ის ინფორმირებას, იმ მოტივით, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ზედმეტად არ გაანერვიულოს.

2. ადვოკატების პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ქ.მ 2018 წლის 01 ოქტომბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად 2015 წლის 16 თებერვლიდან მინდობილობისა და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, იცავდა ტ. ჩ.-ის ინტერესებს. ადვოკატმა საქმის წარმოება დაიწყო საქართველოს აღსრულების ეროვნულ ბიუროში ტ. ჩ.-ის სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების არასრულფასოვან და კანონის დარღვევით ნაწარმოებ სააღსრულებო საქმის განახლების მოთხოვნით, რაზეც აღსრულების ეროვნული ბიუროდან წერილობით მიიღო უარი. ადვოკატმა მიმართა სასამართლოს ადმინისტრაციული საჩივრით, 2015-2016 წლებში შეიტანა სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოში რომლებზეც არაერთი სხდომა გაიმართა, საბოლოოდ კი მიიღო უარყოფითი შედეგი, ადვოკატმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, სადაც ასევე რამდენიმე სხდომა გაიმართა, მათ შორის არაერთი მოსამზადებელი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის 2016 წლის 22 აგვისტოდან 2017 წლის 21 მარტის ჩათვლით იყო პატიმრობაში, ამ დროის განმავლობაში ტ. ჩ.-ის საქმეს აწარმოებდა ადვოკატი ა. ბ.. ადვოკატი განმარტავს, რომ გათავისუფლების შემდეგ ტ. ჩ.-ის მეუღლის, გ. ჩ.-ის მოთხოვნით, ის კვლავ დაუბრუნდა ტ. ჩ.-ის საქმის წარმოებას და ჰონორარის სახით გ. ჩ.-ისაგან მიიღო 200 ლარი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რის შემდეგაც ტ. ჩ.-ის მეუღლე გ. ჩ. მისგან ითხოვდა სახელმწიფო ბაჟისა და საადვოკატო მომსახურების თანხის დაბრუნებას, ჯამში 1200 ლარს.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ შემოსული განცხადების ავტორი არის უშუალოდ ტ. ჩ.-ის მეუღლე გ. ჩ. და არა თავად ტ. ჩ..

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ქ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №....././, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული; ასევე, ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ტ. ჩ.-ის სახელით ეთიკის კომისიაში საჩივარი წარმოდგენილი იქნა გ. ჩ.-ის მიერ 2018 წლის 17 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2017 წლებში. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატი მ. ქ.-ის მიმართ დებულების მე-9(ზ) მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 2018 წლის 07 ნოემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დისციპლინური საქმის განხილვისას ტ. ჩ.-ის ნაცვლად წარსდგა მისი წარმომადგენელი, გ. ჩ., რომელმაც წარმოადგინა რწმუნებულება. ამასთან, გ. ჩ.-მ სხდომის მიმდინარეობისას განმარტა, რომ საჩივრის ავტორი ტ. ჩ. არ იცნობს წარმოდგენილი საჩივრის შინაარსს, თანდართულ მასალებს, ის დაწერილია მის მიერ და საჩივარზე ხელმოწერაც თავად განახორციელა.

5.2 ეთიკის კომისიამ პირველ რიგში უნდა შეამოწმოს მხარის სათანადოობა და განსაზღვროს არის თუ არა გ. ჩ.-ის მიერ შედგენილი და ტ. ჩ.-ის სახელით ხელმოწერილი საჩივარი დისციპლინური საქმის დაწყების საფუძველი. კოლეგია განმარტავს, რომ დებულება გარკვეულ მოთხოვნებს აწესებს საჩივრის ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით, რომელთა შესრულება სავალდებულოა საჩივრის ავტორისთვის. ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი არ შეიცავს ამ დებულებით განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს (დებულების მე-9(ზ) მუხლი). კერძოდ, საჩივარი უნდა შეიცავდეს განმცხადებლის ვინაობას (დებულება, მუხლი 7.2(ა) და განმცხადებლის ხელმოწერას (დებულება, მუხლი 7.2(ზ)). შესაბამისად, ეთიკის კომისიის მიერ, საჩივრის განხილვის მიზნით,

საჩივარი აუცილებელია წარმოდგენილი იქნეს ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების ნორმათა დაცვით.

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ 2018 წლის 17 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ტ. ჩ.-ის საჩივარი შედგენილია და ხელმოწერილია მისი მეუღლის გ. ჩ.-ის მიერ, რომელიც ტ. ჩ.-ის სახელითა და გვარით, თავად აწერს ხელს საჩივარს. გ. ჩ.-მ ეთიკის კომისიის სხდომაზე თავად დაადასტურა, რომ ტ. ჩ.-ისათვის რეალურად უცნობია საჩივრის არსებობა, მასში გამოთქმული პრეტენზიები და გარემოებები. კომისია განმარტავს, რომ ეს ფაქტი უგულებელყოფს დებულების მოთხოვნებს. შესაძლოა პირს ჰქონდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, თუმცა ეს არ გამორიცხავს წარმომადგენლის ვალდებულებას მოახდინოს მარწმუნებლის ინფორმირება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, როგორიც არის თუნდაც დისციპლინური წარმოების დაწყება მარწმუნებლის სახელით. ამასთან, ეთიკის კომისია განარტავს, რომ რწმუნებულება რწმუნებულს ანიჭებს უფლებას მარწმუნებლის სახელით იმოქმედოს, თუმცა ეს არ გულისხმობს მარწმუნებლის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მინიჭებას (თუ კონკრეტული დავალება არ არის მითითებული რწმუნებულებაში). საპროცესო კოლეგიის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში ვერ დგინდება, რომ წარმოდგენილი საჩივრის შინაარსი ასახავს ტ. ჩ.-ის რეალურ ნებას. ამასთან, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ რადგან საჩივარზე არსებული ხელმოწერაც („ტ. ჩ.“) მიეკუთვნება არა საჩივრის ავტორს, არამედ მის მეუღლეს - გ. ჩ.-ეს, შეუძლებელია საჩივრის განხილვა, რაც განაპირობებს განხილვის გარეშე დისციპლინური წარმოების შეწყვეტას მოცემულ საქმეზე, ადვოკატ მ. ქ.-ის მიმართ.

5.4 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში თუ ტ. ჩ. აღმოფხვრავს წარმოდგენილ საჩივარში არსებულ ხარვეზებს, შეუძლია თავიდან მიმართოს ეთიკის კომისიას ადვოკატის დისციპლინირების მოთხოვნით.

5.5 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 7.2(ა), 7.2(ზ), 9(ზ) მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N129/18 ადვოკატ მ. ქ.-ის /სიითი №...././ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/